პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ოქტომბერიდან

KOMUNISTI—

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1976 ოთხშაბათი 11 თებერვალი № 35 (16465) ფასი 2 კაპ. 1976

ყოველი ყრილობისწინა დღე — დაჟვრელებრივი! ბრიგადიერები

მიუზედავად სიძნელეებისა

ჭიათურა. (საკ. კორ.). მკაცრი ზამთარია მარგანეცის ქალაქში. მაღალ ზეგნებზე განლაგებულ მაღაროებს ბევრი გაუთვალისწინებელი დაბრკოლება გაუჩნდათ მუშაობაში. მაგრამ თავდადებული შრომით დაძლეული იქნა სიძნელეები. მარგანეცის სამთომადნო კომბინატის საწარმოებმა გადაჭარბებით გაანაღდეს მადნის მოპოვების და სასაქონლო პროდუქციის გამოშვების იანვრის დავალება. გეგმის ზევით წარმოებულია ასეულ ათასობით მანეთის პროდუქცია. ეს გამარჯვება სამთოელებმა მიუძღვნეს კომუნისტური პარტიის დიდ ფორუმს.

მეათე ხუთწლედის პირველი დღიდანვე მაღალი ტემპი აიღეს ლენინის სახელობის მაღაროში (დირექტორი ა. თვარაძე). აქ იანვარში 96.859 ტონა მადანი მოიპოვეს. ეს დიდად აღემატება დავალებას, ხოლო მაღალი ხარისხის კონცენტრატი გამოშვებულია 705 ტონით მეტი, ვიდრე ნავარაუდევი იყო.

სკკპ XXV ყრილობის აღსანიშნავ ვახტზე ყოველდღიურად მაღალ შრომით მაჩვენებლებს აღწევენ ის საწარმოო უბნები, რომელთა თავეკაცები არიან ქ. პაპიძე, გ. ღოღელიანი, რ. ბურჯანაძე, ზ. ვაჭრიძე, დ. ცხოვრებაძე, ა. ბარათაშვილი.

თავდადებული შრომა გრძელდება. მარგანეცის მომპოვებლები ქვეყანას ახალ პატაკებს უშზადებენ.

ო. ნიქაბაძე.

ორი თვის დავალება — ვადამდე

თბილისი. („კომუნისტის“ კორ). წლეულს გეგმის გადამეტებით გამოშვებულ იქნება 100 ათასი მანეთის პროდუქცია, ასეთი ვალდებულება იკისრა თბილისის კერამიკული კომბინატის კოლექტივმა.

— ამ დღეებში უბნებსა და ბრიგადებს შორის გაშლილი შეჯიბრება მიმდინარეობს დეკემბრის: ღირსეულად შეეხვედეთ სკკპ XXV ყრილობას, ორი თვის გეგმა გადანაღდრთ 25 თებერვლისათვის, — თქვა კომბინატის პარტბიუროს მდივანმა შ. ცხვარაძემ, — ცალკეული ბრიგადები ვალდებულებებს გადაჭარბებით ასრულებენ. განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია ძირითადი წარმოების სამშენებლო ნახევრადფაბრიკატების საწარმოს ჩამალაგებლთა ბრიგადამ, რომელსაც ა. მენთეშაშვილი ხელმძღვანელობს. ამ კოლექტივმა იანვრის დავალება 113 პროცენტით გაანაღდა.

იანვარში საწარმოს კოლექტივმა ნამდვილად დამკვრელურად იშრომა. თუმცა თვის ბოლო დღეებში მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მუშაობა შეფერხდა, მაგრამ დავალება 100,3 პროცენტით მაინც გაანაღდა.

ყველა რეგზერვი — მოქმედებაში

ბათუმის თამბაქოს ფაბრიკა შეწყლს შარშანდელთან შედარებით პროდუქციის წარმოება 18,2 პროცენტით გაიზრდება. როგორ ვფიქრობთ გადიდებული გეგმის შესრულებას?

გათვალისწინებულია დასატენ მანქანებთან მოეწყოს თამბაქოს ანეგმატური მიწოდება, რაც აამაღლებს შრომის ნაყოფიერებას, გაუმჯობესებს წარმოების კულტურას.

დიდ ყურადღებას ვაქცევთ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას. ახლახან ჯრასნოდარიდან მივიღეთ თამბაქოს საშრობი დოღი, რომლის დამონტაჟებას უკვე შევუდექით და მალე მას საექსპლოატაციოდ გადავცემთ.

წარმოების ზრდას, დიდად შეეწყობს ხელს შიდარეზერვების გამოვლინება, ახალი ტექნიკის დანერგვა, რაც წლის პირველ ნახევარში განხორციელდება.

ა. ვადაჭკორია,
ბათუმის თამბაქოს ფაბრიკის დირექტორი.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განიხილეს ჩვენი ქვეყნის ქვანახშირისა და ფიქლის მრეწველობის და შახტმშენებლობის მუშაკთა დამატებითი შეღავათების, აბრეთვე მეათე ხუთწლედში დონეცის აუზის ქვანახშირის მრეწველობის შემდგომი განვითარების საკითხები.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ საგანგებოდ განიხილეს ჩვენი ქვეყნის ქვანახშირისა და ფიქლის მრეწველობაში და შახტების მშენებლობაზე შრომის განსაკუთრებული პირობები და მიღეს დადგენილება **„ქვანახშირისა და ფიქლის მრეწველობისა და შახტმშენებლობის მუშაკებისათვის დამატებითი შეღავათების მიცემის შესახებ“.**

დადგენილება ითვალისწინებს, რომ მოქმედ და მშენებარე ქვანახშირისა და ფიქლის შახტებში, სადაც შრომის განსაკუთრებით მძიმე პირობებია, მიწისქვეშა სამუშაოებზე დასაქმებული მუშები გადაიყვანონ 30-საათიან სამუშაო კვირაზე, ხოლო ამ შახტებში მიწისქვეშა სამუშაოებზე დასაქმებული სამთო ოსტატები — 35-საათიან სამუშაო კვირაზე.

შემოკლებულ სამუშაო კვირაზე აღნიშნულ მუშაკთა გადაყვანა უნდა განხორციელდეს მოქმედი და მშენებარე შახტების მომზადების კვალობაზე, იმ ვარაუდით, რომ უთუოდ შესრულდეს ქვანახშირის მოპოვების, კაპიტალური მშენებლობის დაწესებული გეგმები, შიქმნას უსაფრთხო შრომის პირობები და გაუჯობესდეს საწარმოთა მუშაობის ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები.

გათვალისწინებულია ნამსახურობის გასამრჯელოს მომატება. საჭიროდ არის მიჩნეული, რომ მუშაკებს, რომლებიც დასაქმებული არიან მიწისქვეშა სამუშაოებზე და დაკავშირებული არიან მიწისქვეშა სამუშაოებთან, მოხუცებულობის სახელმწიფო პენსიის მაქსიმალური ოდენობა გაუდიდდეთ თვეში 140 მანეთამდე, თუ აღნიშნულ სამუშაოებზე და თანამდებობებზე მუშაობის სტაჟი აქვთ 15-დან 20-მდე წელი, და — 160 მანეთამდე — 20 წელზე მეტი.

გადაწყვეტილია, რომ პენსიონერებს, რომლებიც განაგრძობენ მუშაობას მიწისქვეშა სამუშაოებზე ქვანახშირისა და ფიქლის შახტებში და ქვანახშირის და ფიქლის შახტების მშენებლობებზე, სადაც განსაკუთრებით მძიმე შრომის პირობებია, მოხუცებულობის პენსია მიეცეთ სრულად., ხელფასის მიუხედავად.

10 პროცენტით უდიდდებათ დღიური სატარიფო განაკვეთები მოქმედი და მშენებარე ქვანახშირისა და ფიქლის შახტების მუშებს, რომლებიც განსაკუთრებით მძიმე შრომის პირობებში მუშაობენ საწყენდ, მოსამზადებელ და სამთო-კაპიტალურ სანგრევებში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს და საკავშირო პროფსაბჭოს დაევალათ დაამტკიცონ წესი, რომლის მიხედვით მოქმედი და მშენებარე ქვანახშირისა და ფიქლის შახტები აგრეთვე საწყენდი, მოსამზადებელი და სამთო-კაპიტალური სანგრევები მიეკუთვნება განსაკუთრებით მძიმე შრომის პირობებიან შახტებსა და სანგრევებს.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ საჭირო ცნეს შემოიღონ ქვანახშირის (ფიქლის) უფასოდ მიცემა ქვანახშირის მრეწველობის შახტსაშენებელი ორგანიზაციათა მუშაკებისათვის, აგრეთვე მოხუცებულობის გამო პენსიონერებისათვის, რომლებიც ქვანახშირის რაიონებში ცხოვრობენ, თუ ისინი ამ უფლებით სარგებლობდნენ პენსიაში გასვლამდე.

ქვანახშირისა და ფიქლის მრეწველობის და ქვანახშირისა და ფიქლის შახტებისა და კარიერების მშენებლობის ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, აგრეთვე სამთო ინსტიტუტების (ფაკულტეტების) სტუდენტებსა და სამთო ტექნიკუმების მოსწავლეებს ექნებათ ფორმის ტანსაცმელი და განმასხვავებელი ნიშნები.

მეტი მიეცემათ ფულადი გასამრჯელო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეებს ქვანახშირისა და ფიქლის მრეწველობაში და შახტმშენებლობაზე საწარმოო პრაქტიკის მიწისქვეშა სამუშაოებზე გავლის დროს.

გათვალისწინებულია, რომ პირებს, რომლებმაც პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებები დაამთავრეს და სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების რიგებიდან თადარიგში დათხოვნის შემდეგ დადეს ხელშეკრულება, რომ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლში შეძენილი სპეციალობით 3 წლის ვადით იმუშავებენ ქვანახშირისა და ფიქლის მრეწველობის საწარმოებში და მშენებლობებზე, მიეცეთ 1000 მანეთამდე ერთდროული დახმარება ოჯახის მოწყობის ხარჯებისათვის.

სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს დაევალა აააშენოს 1976-1979 წლებში სლიკოზსამკურნალო სანატორიუმი და 1976-1982 წლებში — 26 პროფილაქტორიუმი.

მიღებულ დადგენილებაში **„1976-1980 წლებში დონეცის აუზის ქვანახშირის მრეწველობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ“** აღნიშნულია, რომ ეკონომიკის პოლიტიკის საკითხებზე სკკპ XXIV ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად გაწეული მუშაობის შედეგად გადაჭარბებით შესრულდა დონეცის აუზში ქვანახშირის მოპოვების მეცხრე ხუთწლედისათვის დაწესებული გეგმა.

შახტები აღიჭურვება ახალი დიდ მწარმოებლური ტექნიკით, ხორციელდება ქვანახშირის მოპოვების კომპლექსური მექანიზაცია. შახტებში ფართოდ გაიშალა მოწინავე ბრიგადების შეჯიბრება იმისათვის, რომ დღეღამეში ერთი მექანიზებული ლავიდან ამოიღონ ათასი და მეტი ტონა ქვანახშირი, დაჩქარდა შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი.

ამასთან დონეცის აუზის ქვანახშირის მრეწველობის მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს შახტების მშენებლობასა და რეკონსტრუქციას, შახტებისა და გამამდიდრებელი ფაბრიკების საპროექტო მაჩვენებლების ათვისებას. დონბასის მთელ რიგ საწარმოო გაერთიანებებსა და კომბინატებში ნელა ხორციელდება საწყენდი სანგრევების მტკიცე ფრონტის შექმნისა და სამუშაოთა ინტენსიფიკაციის ღონისძიებანი, საკმაოდ არ ვრცელდება მოწინავე უბნებისა და ბრიგადების გამოცდილება სამთო ტექნიკის გამოყენების საქმეში.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალეს უკრაინის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სკკპ როსტოვის საოლქო კომიტეტს, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროსა და უკრაინის სსრ ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს აღმოფხვრან ნაკლოვანებები დონეცის აუზის ქვანახშირის მრეწველობის, შახტსაშენებელი ორგანიზაციების, ქვანახშირის მანქანათსაშენებელი ქარხნების მუშაობაში და მთავარი ყურადღება დაუთმონ იმას, რომ გადაწყვეტონ აუზის შემდგომი განვითარების ძირითადი ამოცანები:

— გაზარდონ ქვანახშირის (განსაკუთრებით კოქსვადი ქვანახშირისა და ანთრაციტების) მოპოვებისა და გადამუშავების სიმძლავრენი შახტებისა და გამამდიდრებელი ფაბრიკების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის გზით;

— დაჩქარონ ტექნიკური პროგრესის ტემპი, საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია, განსაკუთრებით — დამრეცად და ციცაბოდ განლაგებული მცირე სიმძლავრის ფენების დამუშავებისა და სამთო გვირაბების გაყვანისათვის;

— გადიდონ ქვანახშირის მანქანათსაშენებელი ქარხნების სიმძლავრეები, დაჩქარონ ახალ სახეობათა სამთო მანქანებისა და მოწყობილობის შემუშავება და გამოშვების ათვისება;

— კიდევ უფრო გაზარდონ უსაფრთხოების ტექნიკა და გაუმჯობესონ შრომის პირობები შახტებში;

— სრულყონ წარმოებისა და შრომის ორგანიზაცია, ფართოდ გავრცელონ იმ ბრიგადებისა და კოლექტივების გამოცდილება, რომლებმაც მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს მუშაობაში, განამტკიცონ შრომისა და საწარმოო დისციპლინა, კიდევ უფრო გაზარდონ შრომის ნაყოფიერება და გაუმჯობესონ საწარმოთა მუშაობის ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებელი.

დადგენილებით დაწესებულია დავალებები:

— გადიდდეს ქვანახშირის მოპოვება დონეცის აუზში 1980 წელს 231-233 მილიონ ტონამდე და 1985 წელს — 245-250 მილიონ ტონამდე;

— გაიზარდოს 1976-1980 წლებში ქვანახშირის მოპოვების სიმაღლავრენი შახტების ამოქმედებისა და რეკონსტრუქციის გზით წელიწადში 28 მილიონ ტონამდე და დაიწყოს წელიწადში 18 მილიონი ტონა ქვანახშირის საერთო სიმძლავრის შახტების მშენებლობა და რეკონსტრუქცია.

საჭიროდ არის მიჩნეული, რომ მეათე ხუთწლედის უმნიშვნელოვანეს სახალხო-სამეურნეო მშენებლობებს მიეკუთვნოს შახტები „ედანოვსკაია-კაპიტალნაია“, დოლჟანსკაია-კაპიტალნაია“, ჯგუფური გამამდიდრებელი ფაბრიკა-თურთ, „შახტიორსკაია-გლუბოკაია“, № 1-2 „ნაგოლჩანსკაია“ და გამამდიდრებელი ფაბრიკა „სუბოდოლსკაია-ვოსტოჩნაია“, № 6/42, „ზაპადნო-დონბასსკაია“, „ობუხოვსკაია-ზაპადნაია“ და გამამდიდრებელი ფაბრიკა.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მოიწონეს სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და უკრაინის ალკკ ცენტრალური კომიტეტის ინიციატივა, რომ დონეცის აუზის აღნიშნული ობიექტების მშენებლობაზე გაგზავნონ მუშები კომკავშირული საგზურებით.

სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს წინადადება მიეცა განამტკიცოს შახტსაშენებელი ორგანიზაციები, გაძლიეროს მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, აამაღლოს მშენებლობის ტექნიკური და ინდუსტრიული დონე.

დადგენილებით გათვალისწინებულია მშენებარე და მოქმედი შახტებისა და გამამდიდრებელი ფაბრიკების უზრუნველყოფა მუშათა კადრებით, მატერიალურ-ტექნიკური რესურსებითა და მაკომპლექტებელი ნაწარმით.

სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროს და სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს დაევალათ განახორციელონ მეათე ხუთწლედში საჭირო მოცულობის საძიებო და გეოლოგიურსადაზვერვო სამუშაოები დონეცის აუზის პერსპექტიულ არეებში, და, უწინარეს ყოვლისა, კოქსვადი ქვანახშირისა და ანთრაციტის შემცველ ფართობებზე.

სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს და უკრაინის სსრ ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს წინადადება მიეცათ გააძლიერონ დონეცის აუზის შახტებში საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციის სამუშაოები. დაუწესდეთ ქვანახშირის მოპოვების უმნიშვნელოვანესი პროცესების მექანიზაციის დონის განმსაზღვრელი დავალებანი.

სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროსა და მძიმე და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტროს დაევალათ გაუმჯობესონ სამთო-საშახტო მოწყობილობის ხარისხი და საიმედოობა, გაზარდონ მისი მუშაობის რესურსი, სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს — უზრუნველყოს მაღალხარისხოვანი მარკების ფოლადის წარმოება და ქვანახშირის მრეწველობისათვის მიწოდება მძიმე მიწისქვეშა პირობებში მუშაობისათვის საჭირო მანქანა-მოწყობილობის გამოსაშვებად.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალეს სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროსა და მთელ რიგ სამშენებლო სამინისტროებს განახორციელონ ქვანახშირის, მანქანათსაშენებელი ქარხნების მშენებლობა და რეკონსტრუქცია. ამ მიზნით, გათვალისწინებულია მნიშვნელოვანი კაპიტალური დაბანდებისა და სპეციალური ტექნოლოგიური მოწყობილობის გამოყოფა.

სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს, მძიმე და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტროს და ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის ნავთობგადამამუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის სამინისტროს და ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემათა სამინისტროს დაეკვალათ უზრუნველყონ 1976-1981 წლებში ახალ სახეობათა სამთო-საშახტო მანქანების, მოწყობილობის, ხელსაწყოებისა და მასალების საცდელი ნიმუშების შემუშავება, დამზადება და სერიული წარმოების ათვისება.

სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროსა და უკრაინის სსრ ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს წინადადება მიეცა განახორციელონ დამატებითი ღონისძიებანი მეშახტეთა შრომის პირობების გაუმჯობესებისა და შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის წესებისა და ინსტრუქციების მკაცრი დაცვისათვის, შახტების ვენტილაციის რეკონსტრუქციისა და დეგაზაციისათვის, მაღაროს ატმოსფეროს კონტროლის ტელემტრიული სისტემების დანერგვისათვის, ქვანახშირისა და გაზის უეცარი ამოტყორცნის წინააღმდეგ ბრძოლისა და მაღაროს ჰაერის კონდიცირებისათვის, გაძლიერონ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები ამ დარგში.

მეშახტეთა სანახევრო-საყოფაცხოვრებო და კულტურული პირობების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით სკკპ ცენტრალური კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალეს სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს, ალკკ ცენტრალური კომიტეტის, ალკკ ცენტრალური კომიტეტის ინფორმაციების ბიუროს, ალკკ ცენტრალური კომიტეტის ინფორმაციებისა და ბიბლიოთეკების

სკკპ XXV ყრილობის უმსახვეღრად

ხუთწლედის პროგლემები

განვიხილავთ პროექტს

რასაც დავთესავთ...

ენობრივი განათლების სადღეისო პროგლემები

პარტიის XXV ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტში — „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებები 1976-1980 წლებში“ — დასახულია ჩვენი ქვეყნის შემდგომი წინსვლის გრანდიოზული გეგმები.

ამ დიდ მიზანდასახულობათა წარმატებით განხორციელებისათვის საჭიროა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებით შეიარაღებული მაღალკვალიფიციური კადრები, რომელთა მომზადების შესახებაც პროექტში აღნიშნულია: „კიდევ უფრო განვითართაროთ სახალხო განათლების სისტემა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნილებისა და მშრომელთა კულტურულ-ტექნიკური და განათლების დონის განუხრელი ამაღლების, მუშათა და სპეციალისტთა კვალიფიციური კადრების მომზადების გაუმჯობესების ამოცანების შესაბამისად“.

კვალიფიციური კადრების მომზადების მთელ სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ენების ცოდნას, ურომლისოდაც შეუძლებელია ადამიანი დაეუფლოს მისთვის საჭირო მეცნიერებისა და საერთოდ კულტურის მიღწევებს.

ენობრივი განათლება გულისხმობს მშობლიური და კიდევ სხვა ენის (ერთის ან მეტის) შეგნებულ ცოდნას, რომელიც საფუძველად ედება ადამიანის მთელ განათლება-განვითარებას.

რუსული ენის რგიონი ცოდნის მნიშვნელობა ჩვენთან ყველას ესმის, ვისაც საერთოდ ესმის განათლების თასა და ზედაზე ჩვენი ერის განვითარების დიდ პერსპექტივებს. ამ საკითხს ეხებოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელი მეტად დროული და დიდმნიშვნელოვანი დადგენილება. ასეთ პირობებში ყველაზე საჭიროროტო საკითხად ენების სწავლების ისეთი მეთოდებისა და გზების ძებნა და დადგენა იქცევა, რომლებიც სწრაფად წასწევს საქმეს წინ და სტუდენტს მისცემს დღეგანდელობისათვის შესაფერის ცოდნას. ამ ძიებაში წარმატებებიც არის და წარუმატებლობაც. მაგრამ სწავლების ახალი გზების ძიება აუცილებელია.

ცხოვრების, სწავლებისა და საქმიანობის აჩქარებული რიტმი მოქმედებს როგორც მოსწავლის, ისე მასწავლებლის ფსიქიაზე და ფიზიკურ შესაძლებლობებზე. პედაგოგმა რომ ასწავლოს თავისი საგანი, ამისათვის ჯერ უნდა დაიპყროს მოსწავლის ყურადღება, რომელიც სულ უფრო და უფრო ძნელი დასამორჩილებელი ხდება, „წვრილმანი რემონტი“ საქმეს ვერ შველის. საჭიროა სწავლების მეთოდების გადახალასება. რა უმჯობესს ხელს საქმის ძირეულად გაუმჯობესებას?.

მოსწავლეს უნდა სწამდეს, რომ მას ცოდნა, ესე იგი სწავლა სჭირდება. არანაკლებ საჭიროა ამისი რწმენაც, რომ მას, მოსწავლეს შეუძლია სრულყოფილად დაეუფლოს მეორე ენას. სამწუხაროდ, დღემდე არსებულმა მეთოდურმა ნაკლოვანებებმა ბევრს. განსაკუთრებით საერთო სოფლის მოსწავლეებს, რწმენა დაკარგა, რომ საერთოდ შესძლებენ რუსული ენის შესწავლას.

არსებობს „თეორია“, თითქოს მეორე ენის წარმატებით სწავლება მხოლოდ ბავშვობის წლებშია შესაძლებელი და მაგალითად მოჰყავთ მშობლიურ ენაზე იოლი ამეტყველება 2-3 წლის ასაკში. ამ ფაქტის უარყოფა არ შეიძლება, ოღონდაც არც აჩქარება და უცნაური დასკვნების გამოტანაა მიზანშეწონილი. განა მშობლიური ენა კი იოლად ისწავლება? ბევრ ვიმსჯელოთ.

სამი წლის ბავშვი მშობლიურ ენაზე ალაპარაკებას ორ წელს ანდომებს. ეს დაახლოებით 8600 საათია, ანუ დღეში 12 საათი. მეტყველების გამართვაში ბავშვს უაღრესად ენერგიულად ეხმარებიან მშობლები, ნათესავები, მეზობლები. განსაკუთრებით გულმოდგინეობენ მეზობლები. ბავშვები: პატარას ათჯერ უმეორებენ სიტყვას, უსწორებენ გამოთქმას. ბავშვზე მუდმივად მოქმედებს გარემო, სხვისი მეტყველება. ამას ამ ასაკისათვის დამახასიათებელი თვითგამოხატვის დაუოკებელი სურვილი და საჭიროებაც, ორი წლის ტიტანური შრომა და მრავალი კეთილმოსურნე და მოსიყვარულე მასწავლებლის დახმარებაც მივუმატოთ. ნუთუ ეს გზა იოლია?

რასაც დავთესავთ...

ენობრივი განათლების სადღეისო პროგლემები

ეტყობა, ჯეროვნად ვერ ვიფასებთ იმ ბუნებრივ არტისტიზმს, რომლები მეთხეებითაც პატარა ადამიანები ასე მხიარულად აკეთებენ თავიანთ დიდ საქმეს. ან იმიტომ ხომ არ გავრცელდა ეს „თეორია“, რომ მისი მართებულად აღიარება ერთგვარად ნამუსს გვაწევნდს და ამართლებს ჩვენს საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებებსა და ჩავარდნებს? ფაქტები კი უტყუარად ცხადყოფს, რომ თუ მოზრდილი ადამიანი ნამდვილად მოინდომებს სხვა ენის მალე და საკმაოდ წარმატებითაც დაეუფლება. რატომ ხდება, რომ ჩვენს პედაგოგებთან უცხოელი ასპირანტები მეტ წარმატებას აღწევენ, ვიდრე ჩვენი სტუდენტები, რომლებიც სკოლაში სწავლობდნენ ამ ენას 9 წლის განმავლობაში და გარემოც ასე თუ ისე ეხმარებოდათ?

სწავლის აუცილებლობის გრძნობის გამომუშავება უაღრესად მნიშვნელოვანი პრობლემაა. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყველა სტუდენტი ამავე დროს იყოს „სწავლის მძებნელიც“. ჯერ ხომ, სამწუხაროდ, ოვრიათი არ არის სიტუაცია, რომელიც სტუდენტსა და მასწავლებელს შორის ორთაბრძოლას წაგიგვს. შენ მოვალე ხარ მასწავლო, მე კი არ მინდა სწავლე, ენახოთ, როგორ მასწავლიო, — თითქოს ნიშნს უგზავს ზარმაცი და ცუდლუტი ახალგაზრდა მასწავლებელს და შედეგიც ცნობილია — მასწავლებელი მარცხდება.

არამშობლიური ენის სწავლება (თუ, რა თქმა უნდა, პედაგოგი მთელი პასუხისმგებლობით მოშაობს) მეტად რთული და მძიმე საქმეა, ხშირად უფრო მძიმე, ვიდრე თეორიული კურსის ლექციების კითხვა. მასწავლებელმა მასალის გარდა ისიც უნდა იცოდეს, თუ როგორ აქციოს თავისი ცოდნა მსმენელის ცოდნად. აი აქ არის საჭირო შთაგონება, თავისებური არტისტიზმი, იმპროვიზაცია, და თუ გნებავთ, ერთგვარი აზარტიც კი, რომელიც ვერავითარი გეგმით ვერ აისახება. სწორედ ეს რაოდენობა სუსტად წარმოდგენილი მომავალი მასწავლებლის მომზადების საერთო სისტემაში. ვინ და როგორ ამზადებს უმაღლესი სკოლათასთვის ენის მასწავლებლებს? ღღესდღეობით არაფერ.

სალექციო კურსების კითხვაში უმაღლეს სასწავლებლებს დიდი და მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება აქვთ, ხოლო ენების სწავლება ღღეანდელი ამოცანებითა და მასშტაბებით შედარებით ახალი საქმეა, თუმცა სიახლე არავითარ შეღავათს აღარ იძლევა. რუსული ენის მასწავლებელი უმაღლეს სასწავლებელში უნდა იყოს თანამედროვე განათლების მქონე ლინგვისტი და კიდევ მეთოდისტი-პედაგოგი. მარტო ინტუიციითა და იმპროვიზაციით წინ ვერ წავალთ.

როგორც ჩანს, უმაღლესმა სასწავლებელმა სტუდენტს უნდა მისცეს თვით უმაღლეს სასწავლებელში პედაგოგიური მუშაობის პირველდაწყებითი ცოდნაც და პრაქტიკაც.

სამწუხაროა, მაგრამ უდავო ფაქტია: მოხვეპის კულტმა, მუშაობრორათა აულაგებელმა სუფრებმა, გაყალბებულმა სადღეგრძელოებმა, არამი ფულის შოვნის ოსტატობა „ნამდვილ ქართველ ვაჟკაცებად“ გამოცხადებამ ახალგაზრდობის ერთი ნაწილის თვალში შრომას (სწავლა კი შრომაა!) ფასი დაუკარგა. და ეს უაღრესად მავნე და გამხრწნელი ინერცია, სამუშაროდ, ჯერაც არ ბანელებულა მთლიანად, და იბოგინებს იქამდე, ვიდრე უვიცობასა და უსინდისობას საბოლოოდ არ გაუტყდება სასელი. ამიტომ ახალგაზრდობის მხრივ სწავლისადმი სერიოზული დამოკიდებულების აღორძინება-განვითარება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა, რომლის გადაჭრაც სკოლისა და საზოგადოების საერთო საქმეა.

დღეანდელი სტუდენტობა დიდი პოტენციისა და პერეტენზიის ხალხია. ეს „ბავშვები“ აშენებენ ბამ-ს, სიმეოდან იცავენ სამშობლოს საზღვრებს, 25 წლის ასაკში ხდებიან მეცნიერებათა დოქტორები. მათ არც საქმის გაკეთება ეზარებათ და არც პასუხისმგებლობას გაურბიან. საკუთარ სწავლაზე კი რატომღაც ისინი ფაქტიურად არ აგებენ პასუხს: უფროსები ზრუნავენ ყველაფერზე, ზოგჯერ წვრილმანებზედაც. იქნებ მივცეთ მათ საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის მეტი საშუალება? კონტროლი გავუწიოთ, დაეხმაროთ, ვასწავლოთ, მაგრამ პასუხი მოვთხოვოთ საქმეზე, როგორც ზრდადამთავრებულ მოქალაქეებს და არა როგორც უსუსურ და მიამიტ ბალღებს.

სტუდენტი სასწავლებელში ისე უნდა მიდიოდეს, როგორც მუშაკი საქმეზე. სადაც ამ დღეს აუცილებლად უნდა შეასრულოს განსაზღვრული ხასიათისა და მოცულობის სამუშაო, რომლის ხარისხსა და დროულობაზეც პირადად აგებს პასუხს.

არსებული პირობების უცბად გარდაქმნა, ცხადია, ძნელია, მაგრამ თუ მოვინდომებთ, შესაძლებელია შედარებით იოლად დაინერგოს სწავლების. ახალი და აქტიური ფორმები. ასეთი ფორმები კი მეთოდიკამ იცის, ოღონდაც საჭიროა მათი შეხამება ჩვენი პირობებისადმი.

გადასასინჯავია „ნიშნის დაწერის“ (ან „ჩათვლის მიცემის“) სისტემაც. ენის ათვისების უნარი სხვადასხვანაირია და სტუდენტებიც მეტ-ნაკლები ტემპით ეროვნან საქმეს. ჩათვლა ან ნიშანი კი ყველამ ერთდროულად უნდა მიიღოს, თუ არა და, იქმნება ორგანიზაციული ზომების რეალური საფრთხე (სტიპენდიის დაკარგვა, კურსზე დარჩენა და სხვა), რაც მძიმე და დაძაბულ ატმოსფეროს ქმნის.

ამიტომ, თუ სტუდენტმა რუსულ ენაში გამოცდაზე ვერ გამოავლინა სათანადო ცოდნა, მას გამოცდა ერთი თვით კი არ უნდა გადაეიდოს (რას გააკეთებს ერთ თვეში?), არამედ ერთი წლით მაინც, და განმეორებითი გამოცდა ჩაბარეს სპეციალურ კომისიას. უამისოდ იგი ვერ უნდა გავიდეს სახელმწიფო გამოცდებზე.

ეს უთუოდ აამაღლებს სტუდენტის პირად პასუხისმგებლობას.

დაბეგვნს მოითხოვს ახლად გამომშვებულ სპეციალისტთა საქმეზე განაწილების წესიც. თუ კაცმა ვერ ჩაბარა სახელმწიფო გამოცდები, ესე იგი ვერ მიიღო დიპლომი, სამუშაოზე იგი ერთგვარად ზარალს მოგომბრეობაშია (ნაკლებია ხელფასი, უფლება არა აქვს განსაზღვრული თანამდებობების დაკავებისა და სხვა). ეს გასაგებია ყველა და სწორიც. ეს წესი უბიძგებს ადამიანს, რომ დაამთავროს თავისი განათლების მთელი ციკლი და იურიდიულადაც (ე. ი. საბუთით) დაამტკიცოს თავისი კვალიფიკაცია.

მაგ რატომ „ფასდებიან ერთნაირად ხუთოსნები და სამოსნები? ჩვენ ხომ ვიცით, რომ ფრიადოსანსა და სამოსანს შორის გაცილებით მეტია ხარისხობრივი განსხვავება, ვიდრე დიპლომიან სამოსანსა და სახელმწიფო გამოცდებზე ჩაჭრილს შორის. საშუალო სკოლის ატესტატი თავისი მაჩვენებლებით საკმაოდ საგრძნობ ბალენას ახდენს სკოლადამთავრებულს შემდგომ წოსვლაზე. ორივე არ იქნებოდა თუ უმაღლესი განათლების საბუთსაც ასეთი დიფერენცირებულად დავაფასებდით, თუნდაც მუშაობის პირველი 2-3 წლის მანძილზე, ვიდრე სწავლაში ნაზარმაცევი სპეციალისტი პრაქტიკით მაინც შეივსებს თავის ცოდნას. ტყუილად ხომ არ არის ნათქვამი: „რასაც დათესავ, იმას მოიმკიო“.

სპეციალისტთა მომზადების ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესება დიდი და მნიშვნელოვანი საქმეა და მრავალი პრობლემის კომპლექსურ გადაწყვეტას მოითხოვს.

გ. წიბახაშვილი,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

ხარისხი — მთავარი საზომი

გულდასმით განვიხილეთ „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებანი 1976-1980 წლებში, რომლის ძირითადი მოთხოვნა ის, არის რომ ხუთწლედი გადავიქციოთ ეფექტიანობის და ხარისხის ხუთწლედად. თვითეულ კოლექტივს ყველა საშუალება აქვს ამ მითითების შესასრულებლად, მითუმეტეს, რომ ჯერ კიდევ უბნებზე მთლიანად არ არის მიღწეული დანადგარებისა და მოწყობილობის მაქსიმალური დატვირთვა, დაბალია მათი ცვლიანობის კოეფიციენტი.

ხუთწლედში დიდი პერსპექტივები გადაიშლება ავტომშენებლოთა წინაშე.

დასამაღავი როდია, რომ ჩვენს პროდუქციაზე არც თუ იშვიათად მომხმარებელი სამართლიან უკმაყოფილებას გამოთქვამდა, ამიტომ ამ ხუთწლედში საჭირო გახდება მთელი ჩვენი საქმიანობის ხარისხობრივი გაუმჯობესება, რომ პროდუქციის რაოდენობრივ ზრდასთან ერთად აუცილებლად მეტაღწიოთ უწესო მუშაობას. ჩვენ კარგად გვაქვს შეგნებული არა მარტო საყალიბო უბნის, არამედ მთელი შრომითი კოლექტივის წინაშე მდგომი ამოცანები.

დ. ჯავახაძე,
ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის № 2 სამსხმელო საამქროს საყალიბო უბნის უფროსი.

ჩემი აზრით

საჭიროა რეკონსტრუქცია

ცხაკაიას რკინიგზის სადგურის ტვირთბრუნვა მნიშვნელოვნად გადიდდა მას შემდეგ, რაც რაიონში მატა სამშენებლო ორგანიზაციების, სხვადასხვა საწარმოებისა და დაწესებულებების რიცხვმა. სადგურის ხელმძღვანელობამ ჯერ კიდევ შარშან ზაფხულში შეახსენა მათ, რომ დროულად შეეკვეთნინთ ზამთრისათვის თავიანთი სარკინიგზო ჩიხები და მასასვლელი ლიანდაგები.

მაგრამ ეს მათ არ გააკეთეს. ამოსუფთავებას საჭიროებს ღელე, რომელიც № 5 სამშენებლო ტრესტისა და „საქსოფტგენეზის“ ადგილობრივი გაერთიანების კუთვნილ ტერიტორიებს ჩაუდის. იგი ხშირად ივსება ნაგვით და სხვა ნარჩენებით, ამიტომ წყალი ტბორავს მთელ სატვირთო ეზოს, აფერხებს ტვირთის დაცლას, ცარიელი ვაგონების დროზე გამობრუნვას.

სრულიად უვარგისია „ხიღბოსტენის“ საკონსერვო ქარხნის № 11 სამშენებლო უბნის და სხვათა ჩიხები.

სკკპ XXV ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტში რკინიგზის ტრანსპორტის შესახებ აღნიშნულია: „რკინიგზის ტრანსპორტზე უზრუნველყოფილ რკინიგზების ტვირთგამტარიანობისა და მაზავრთა გადაყვანის შესაძლებლობების შემდგომი გადიდება ტვირთდაძაბული მიმართულებებით, სახარისხებელ და სატვირთო სადგურებში გადამუშავების შესაძლებლობის ამაღლება და სატვირთო ვაგონის ბრუნვის დროის შემცირება“.

ჩემი აზრით, უნდა განხორციელდეს ყველა სარკინიგზო სატვირთო ეზოს, ჩიხის, მისასვლელი ლიანდაგის რეკონსტრუქცია, ჩაუტარდეს კაპიტალური რემონტი, რათა ტვირთბრუნვა არ შეფერხდეს. ჯარიმები არ უშველის ტვირთის ადგილზე, დროზე მიტანის საქმეს. როდემდე უნდა ვაცდევნოთ ჯარიმები, როდემდე უნდა გამოვიჩინოთ „სიუხვე“ სახელმწიფოს ხარჯზე; ტექნიკური პროგრესი აქაც უნდა განხორციელდეს.

გ. ალანია,
ცხაკაიას რკინიგზის სადგურის სახალხო კონტროლის ჯგუფის ხელმძღვანელი.

ფაქტები მოვლენები პროგლემები

ადამიანი და ეკოლოგიის პრესის სააგენტოები იტყობინებიან

დემონსტრაციები და პროტესტები

ამანი. (საკადესი). აი უკვე თოთქმის ორი კვირაა დემონსტრაციებსა და გაფიცვებს განაგრძობს არაბი მოსახლეობა ისრაელის მიერ ოკუპირებულ რაიონებში მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე.

როგორც გაზეთი „ორ-რაიტ“ წერს, დემონსტრანტები პროტესტს აცხადებენ იმის წინააღმდეგ, რომ საოკუპაციო ხელისუფალნი არღვევენ მკვიდრი მოსახლეობის დემოკრატიულ უფლებებს, და მოითხოვენ დევნისა და დაპატიმრების შეწყვეტას.

განსაკუთრებით დაძაბული ვითარება შეიქმნა ქალაქებში რამალაში, ნაბლუსსა და ბირიში, სადაც ისრაელმა ხელისუფლებმა საპოტენციო მოძრაობის ჩასახშობად ქუჩებში გამოიყვანეს სამხედრო პატრულები, ტანკები და ჯავშნოსანი მანქანები. ბევრი სკოლა ამ ქალაქებში დაიხურა, იქ ჯარის ქვეგანაყოფები მოთავსეს. მოსწავლეთა მშობლებს, რომლებიც დემონსტრაციებში მონაწილეობენ, ჯარიმას ახდევინებენ. ყოველდღიურად აპატიმრებენ რამდენიმე ათეულ ადამიანს, დემონსტრაციათა ყველაზე აქტიურ მონაწილეებს მიერეკებიან მშობლიური ადგილებიდან, მათ სახლებს კი ანგრევენ.

ყოველივე ამის გამო რამალაჰის, ნაბლუსისა და ბირის მერებმა ისრაელის სამხედრო ხელისუფალთ გაუგზავნეს მოთხოვნები, რომ შეწყვიტონ რეპრესიები და გაათავისუფლონ ყველა პატიმარი.

უმეღეგო მოლაპარაკება

ბონი. (საკადესი). გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი ჰ. შმიდტი დაბრუნდა ლონდონიდან, სადაც მოლაპარაკება ჰქონდა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრთან ჰ. ვილსონთან.

როგორც გაზეთები აღნიშნავენ, ინგლის-დასავლეთ გერმანიის უმაღლესი დონის მოლაპარაკება მიმდინარეობდა ისეთ პირობებში, როცა გრძელდება „საერთო ბაზრის“ კრიზისი. მეთვალყურეთა აზრით, მოლაპარაკებას არ მოჰყოლია კონკრეტული შედეგები, რომელებსაც შეუძლიათ ხელი შეუწყონ ევროპის ეკონომიური გაერთიანების პრობლემების გადაწყვეტას. მაგალითად, მხარეებმა ვერ შეიმუშავეს ვერავითარი „ზოგადი ღონისძიებანი“ ევროპის ეკონომიური გაერთიანების ქვეყნებში უმუშევრობის შესამცირებლად.

მთავრობათა მეთაურები ვერ შეთანხმდნენ ვერც იმ საკითხში, თუ რა მონაწილეობა უნდა მიიღოს გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ ამ ქვეყანაში ინგლისის რაიონის არმიის შენახვის ხარჯებში. ოფიციალურ ბონს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ იგი ამ ხარჯების გადიდების წინააღმდეგია. როგორც გაზეთი „ზიდდეიჩე ცაიტუნგი“ წერს, ლონდონის მოლაპარაკების შემდეგაც სადავოდ რჩება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ინგლისის ჯარების შენახვის ხარჯების საკითხი.

ერთობისათვის

დამთავრდა ლათინური ამერიკის ერთობის პირველი ყრილობა

მეხიკო, (საკადესი). ლათინური ამერიკის ერთობის პირველმა ყრილობამ, რომელიც დამთავრდა მეხიკოში, მიიღო დადმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი ლათინური ამერიკის სახელმწიფოთა დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკური კურსის და მათი ეკონომიური ინტეგრაციის გაძლიერების მხარდასაჭერად, ბუნებრივი სიმდიდრეების დასაცავად. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ რეგიონის 16 ქვეყნის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების დელეგაციები.

რეზოლუციებში ყრილობამ მკაცრად გაკიცხა დიქტატის პოლიტიკა, რომელსაც სამხრეთის მეზობლების მიმართ ადგას შეერთებული შტატები. კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესზე მიღებული კანონი „ვაჭრობის შესახებ, რომელიც მიმართულია პირველ რიგში ლათინური ამერიკის იმ ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობენ დაიცვან ეროვნული სიმდიდრე მონოპოლიათა მხრივ ძარცვისაგან, დაგმობილია როგორც დისკრიმინაციული.

ყრილობის მონაწილეებმა მოითხოვეს, რომ დაუბრუნდეს პანამას ამერიკის ჯარების მიერ ოკუპირებული პანამის არხის ზონა და კუბას — მისი ტერიტორია გუანტანამოში, სადაც განლაგებულია ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების ბაზა.

ყრილობის გადაწყვეტილებებში აღნიშნულია, რომ საჭიროა განამტკიცოს ლათინური ამერიკის ეკონომიური სისტემა. რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს რეგიონის ქვეყნების ნამდვილი დამოუკიდებლობის მიღწევას, აგრეთვე ლათინური ამერიკის სახელმწიფოთა პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნა.

სპეციალურ რეზოლუციაში ყრილობამ ლათინური ამერიკის ყველა ქვეყნის მთავრობას მოუწოდა ყოველგვარ კავშირი გაწყვიტონ ჩილეს ფაშისტურ დიქტატურასთან.

მსოფლიოს პანორამა

10 თებერვალი

სკკპ დელეგაციის პარიზიდან გამოემგზავრა

პარიზი. (საკადესი). დღეს სამშობლოში გამოემგზავრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომელიც საფრანგეთის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობაში მონაწილეობდა. დელეგაციას მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. პ. კირილენკო.

ბურჟეს აეროპორტში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია გამოეცალეს საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრმა, საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა პ. ლორანმა და საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა ლ. ბაიომ.

გამცილებელთა შორის იყო სსრ კავშირის ელჩი საფრანგეთში ს. ვ. ჩერვონენკო.

იმავე დღეს დელეგაცია მოსკოვში დაბრუნდა.

მწვავე პრობლემა

ვაშინგტონი, (საკადესი). პრეზიდენტმა ჯ. ფორდმა კონგრესს გაუგზავნა წერილი. იგი ეხება მრავალ მწვავე პრობლემებს, რომლებიც დგას მილიონობით ხნიერი ამერიკელის წინაშე.

„ყველაზე მეტ საფრთხეს“ იმათთვის, ვისაც ასაკისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ადარ შეუძლია თავისი შრომით უზრუნველყოს საკუთარი მოთხოვნილებანი, წარმოადგენს ინფლაცია. განსაკუთრებით აწუხებს იგი ამერიკელებს, რომლებიც პენსიით, დახმარებით ცხოვრობენ.

„მილიონობით ხნიერი ამერიკელი, — ნათქვამია წერილში, — განიცდის შიშს იკადყოფობის წინაშე, რომელმაც შეიძლება დიდი ხარჯები მოითხოვოს სამკურნალოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში. უფრო ხშირად მათ არ აბადიათ იმის სახსრები, რომ მკურნალობის ფასი გაისტუმრონ. ასეთსავე შიშს განიცდიან მათი ოჯახის წევრები, რადგან არც მათ აქვთ დიდი თანხების გაღების თავი“.

ეს პრობლემა, აღიარებს პრეზიდენტი, უკვე მრავალი წელია არსებობს შეერთებულ შტატებში, ამასთან ხელისუფლებმა დღემდე „ვერ დაიცვეს ხნიერი ამერიკელები სამედიცინო მომსახურების ღირებულების კატასტროფული ზრდისაგან“.

მაგრამ, როგორც პრეზიდენტის წერილიდან ჩანს, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა, რომელიც ინფლაციასთან ბრძოლის საბაბით ამცირებს სოციალური საჭიროებისათვის განკუთვნილ ასიგნებებს, არ აპირებს განაზორციელოს რადიკალური ღონისძიებანი ხნიერ ამერიკელთა ხვედრის შესამსუბუქებლად. მას განზრახული აქვს ეს მწვავე პრობლემა გადაჭრას ამერიკელთა ფართო მასების ხარჯზე. ჯ. ფორდის ერთ-ერთი წინადადება კონგრესისადმი ითვალისწინებს მშრომელთა საშემოსავლო გადასახადის გადიდებას ხოციალური უზრუნველყოფის ფონდების შევსების მიზნით.

ბგოფლიო ფოტოობიექტივში

ისრაელი ხელისუფლები წინანდებურად უარს აცხადებენ პალესტინის პრობლემის გადაწყვეტაზე და აძევებენ არაბ მოსახლეობას უკანონოდ დაპყრობილი ტერიტორიებიდან.

სურათზე: პალესტინელ ლტოლვილთა ერთ-ერთ ბანაკში, რომელიც ლიბანის ტერიტორიაზე მდებარეობს.

საკადესის ფოტო.

საკადესი

ფეიერვერკი, ფორტელა

● **რომი. 1975 წელს წინა წელთან შედარებით იტალიაში 9,5 პროცენტით შემცირდა სამრეწველო წარმოება.**

● **პარიზი. 564 კაცი შევიდა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის რიგებში სახალხო დღესასწაულის დროს, რომელიც მოეწყო ბურეეში საფრანგეთის კომპარტიის XXII ყრილობის დამთავრების გამო.**

● **დელი. ინდოეთის დედაქალაქში იზეიმა გაზაფხულის დადგომა. ძველი და ახალი დელის საზღვარზე განლაგებულ პარკში გაიმართა ლამაზი ბაზრობა. აქ დადგეს უკავილებით მორთული თაღები, ხეებზე ბაჩხდა ცოცხალი ყვავილების პანოები. სადღესასწაულოდ გაფორმებული სტენდები ასახავენ, თუ როგორ ხორციელდება მთავრობის 20-პუნქტიანი სოციალურ-ეკონომიური პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესებას.**

● **ლაგოსი. აქ ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ ნიგერიის დედაქალაქს ლაგოსიდან გადაიტანენ ქალაქ აბუჯაში. აბუჯა აფრიკის ამ ქვეყნის ცენტრში მდებარე პატარა ქალაქია.**

„კომუნისტის“ კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

პირუტყვს ასე ვერ გამოვაგამთრებთ

რედაქციას უპასუხებს საქართველოს კომპარტიის საჩხერის რაიკომის პირველი მდივანი რ. ღლონტი

„კომუნისტში“ დაიბეჭდა მამხილებელი წერილი, რომელიც ეხებოდა საჩხერის რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში პირუტყვის გამოზამთრების საქმეში არსებულ ნაკლოვანებებს.

აღნიშნულ წერილთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის საჩხერის რაიკომის პირველი მდივანი რ. ღლონტი რედაქციას აცნობებს, რომ მამხილებელ წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება.

პარტიის რაიონული კომიტეტის ბიურომ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და გატარებული ღონისძიებების შედეგად სოფლებას სხვატორის, ჭილოვანის და ჯალაურთის კოლმეურნეობებში ნაკლოვანებები გამოსწორდა. ამჟამად მათი პირუტყვი უზრუნველყოფილია როგორც უხეში, ისე წვნიანი საკვებით. პირუტყვის გამოზამთრება ნორმალურად მიმდინარეობს.

„გოლიათები?“

სამპირო ქსელში დიდი ზომის ტანსაცმლის ნაკლებობას ეხებოდა ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი წერილი „გოლიათები?“. წერილის გამო საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრის მოადგილე **ე. დუდჩენკო** გვაცნობინებს:

სამკერვალო საწარმოები ერთგვარ მუშაობას ეწევიან დიდი ზომის ტანსაცმლის წარმოებისა და სავაჭრო ორგანიზაციებისათვის მიწოდების უზრუნველსაყოფად. მაგრამ ეს ღონისძიებანი ჯერჯერობით არასაკმარისია, სავაჭრო ქსელი კვლავ განიცდის დიდი ზომის ტანსაცმლის და განსაკუთრებით მამაკაცის კოსტუმების ნაკლებობას.

შემოწმებით ღადგინდა, რომ ზოგიერთ სამკერვალო საწარმო „საქტანსაცმელეკავრობის“ ბაზისათვის ასეთი ტანსაცმლის მიწოდების დროს არ იცავს ასორტიმენტს.

შემოწმების შედეგები განხილულ იქნა სამკერვალო საწარმოების ხელმძღვანელთა თათბირზე, შემუშავებულია ღონისძიებანი სავაჭრო ქსელისათვის საკმაო რაოდენობით დიდი ზომის ტანსაცმლის მიწოდების უზრუნველსაყოფად.

წარმოების ეფექტიანობის ზრდის გზით

გაიმართა საქართველოს სსრ კავშირის მრეწველობის სამინისტროს რესპუბლიკური პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომელზეც განხილულ მეცხრე ხუთწლედის მანძილზე გაწეული მუშაობის შედეგები და შეიმუშავეს საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის მიერ მათივ ხუთწლედში დასახული დიდი ამოცანების განხორციელების ღონისძიებანი.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ კავშირის მრეწველობის მინისტრმა რ. კონცელიძემ.

აქტივის კრებაზე აღინიშნა, რომ საქართველოს კავშირის მრეწველობის კოლექტივებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს შეჯიბრება სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხილვებისათვის, ვადაზე აღრე უპატაკეს სამშობლოს მეცხრე ხუთწლიანი დავალების შესრულება, გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 93,3 მილიონი მანეთის საერთო პროდუქცია და მოახდინეს 74,3 მილიონი მანეთის ნაწარმის რეალიზაცია, მიიღეს 3,8 მილიონი მანეთი მოგება.

აწონ-დაწონეს რა თავიანთი რეზერვები და შესაძლებლობანი, საქართველოს კავშირის მრეწველობის საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივებმა 1976 წლისათვის იკისრეს გადიდებული სოციალისტური ვალდებულებები:

წარმოების ეფექტიანობის ამაღლებით, საწარმოო სიმძლავრეთა მაქსიმალური გამოყენებით, ახალი ტექნიკის და ტექნოლოგიის დანერგვით, პროდუქციის გამოშვების გადიდებით და ასორტიმენტის გაუმჯობესებით, აკრეთვე დანაკარგების შემცირებისათვის განუხრელი ბრძოლით მიაღწიონ იმას, რომ 1976 წლის 27 დეკემბრს შესრულონ პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის წლიური დავალება;

გეგმის გადამეტებით გამოუშვან 22 მილიონი მანეთის ხაერთო საქართველოს სსრ კავშირის მრეწველობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა 1976 წლის სოციალისტური ვალდებულებები

□

პროდუქცია, რეალიზაციის დავალების გადაჭარბონ 19,19 მილიონი მანეთით, დადგენილი გეგმის ზევით დაამზადონ: 1000 ტონა მწვანე აგურა ჩაი, 1130 ტონა ნარევი ჩაი, 100 ტონა მზა დაფასოებული ჩაი, 100 ათასი დეკალიტრი უურძნის ღვინო, 100 ათასი ბოთლი შამპანური, 10 ათასი დეკალიტრი კონიაკი, 50 ტონა მცენარეული ზეთი, 900 ტონა სამეურნეო საპონი, 3.000 ტონა პურფუნთუშეული, 300 ტონა საკონდიტრო, 30 ტონა მაკარონის ნაწარმი, 90 მილიონი ცალი პაპიროსი და სიგარეტი, 1 მილიონი ბოთლი მინერალური წყლები, 1 მილიონი ცალი ბოთლი;

**1975 წელთან შედარებით შრომის ნაყოფიერება გაადიდონ 49 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით, წარმოების რეზერვების სრულად გამოყენებით და ეკონომიის რეჟიმ

ᲨᲐᲚᲕᲐᲒᲘᲡ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲗ!

№ 109

ᲔᲕᲐᲛᲐᲚᲚᲘᲗᲘ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲓᲦᲔ, ᲒᲐᲓᲐᲕᲐᲭᲘᲪᲘᲝᲗ ᲘᲮᲘᲜᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲘᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲐᲥᲢᲘᲣᲠ ᲗᲐᲜᲐᲨᲔᲛᲬᲔᲤᲔᲑᲐᲓ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲝᲩᲔᲜᲘᲡ ᲔᲤᲔᲥᲢᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲐᲛᲐᲚᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲓᲘᲡᲪᲘᲞᲚᲘᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲞᲐᲠᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲣᲮᲠᲔᲚᲘ ᲕᲔᲡᲘᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XXV ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲘᲗᲐᲜ.

ᲠᲝᲪᲐ ᲡᲐᲒᲣᲨᲐ�გᲝᲔᲑᲘ ᲤᲖᲘᲖᲚᲝᲑᲔᲜ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ მეცხოველეობა წლების მანძილზე ერთერთ ჩამორჩენილ დარგად ითვლებოდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო, რომ ფერმის ზოგიერთი წევრლავი (ქ. თელიაშვილი, ქ. ᲛᲝᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ და სხვ.) არ იცავდა ᲠᲝᲠᲝᲑᲘᲡ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚᲘᲡᲐᲒᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘᲡ. ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲩᲕᲔᲜ ᲤᲔᲠᲛᲐᲨᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐᲑᲐᲚᲘ ᲮᲐᲚᲘᲡᲑᲝᲚᲐ ᲘᲧᲝ. ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲩᲕᲔᲜ ᲤᲔᲠᲛᲐᲨᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐᲑᲐᲚᲘ ᲮᲐᲚᲘᲡᲑᲝᲚᲐ ᲘᲧᲝ. ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲩᲕᲔᲜ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲓᲐᲛᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲝᲓᲐ ᲛᲐᲠᲢᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲗᲕᲔᲡᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲤᲔᲠᲛᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐᲑᲐᲚᲘ ᲮᲐᲚᲘᲡᲑᲝᲚᲐ 200 ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲒᲣᲨᲐᲒᲝᲨᲘ ᲐᲘᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ 1200-ᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲙᲐᲪᲘ, ᲛᲐᲗᲒᲐᲜ 500-ᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ ᲓᲐ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲥᲢᲘᲕᲝᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲜᲐᲧᲝᲤᲘ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ.

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲛᲗᲐᲠᲓᲐᲛᲘᲜᲐᲠᲔ ᲝᲠᲘᲡᲛᲝᲓᲜᲔᲜᲘ ᲬᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲜᲘᲪᲓᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲖᲔᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲖᲝᲒᲐᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲘᲡ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲖᲔ ᲘᲧᲝ. ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲓᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲬᲕᲐᲠᲔ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ. ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲩᲕᲔᲜ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲓᲐᲛᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲝᲓᲐ ᲛᲐᲠᲢᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲗᲕᲔᲡᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲤᲔᲠᲛᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐᲑᲐᲚᲘ ᲮᲐᲚᲘᲡᲑᲝᲚᲐ ᲘᲧᲝ. ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲡᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲡᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲠᲐᲒᲜᲐᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲠᲐᲖᲛᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲘᲗ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲓᲐ ᲛᲔᲪᲮᲠᲘᲡ ᲬᲚᲔᲑᲘ. ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲘᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲔᲢᲐ�პᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲒᲖᲐᲖᲔ. ᲘᲒᲘ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲒᲖᲐᲖᲔ ᲣᲜᲐᲝᲑᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲡᲐᲪ.

ᲣᲙᲐᲜᲡᲙᲜᲔᲚ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲐᲓ ᲒᲐᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲨᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲪ ᲛᲠᲔᲣᲬᲔᲚᲝᲑᲘᲡ, ᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ, ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ, ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲒᲐᲛᲣᲚᲝᲑᲘᲡ, ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲐᲚᲝ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲡᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲗ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲨᲠᲛᲐᲗᲐ. ᲔᲡ ᲘᲧᲝ ᲓᲘᲓᲘ ᲒᲣᲜᲓᲘ ᲡᲐᲮᲚᲗᲐᲛᲝᲛᲪᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲨᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲡᲐᲪ.

ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲡᲘ ᲜᲐᲗᲚᲐᲓᲐᲐ ᲛᲝᲪᲣᲚᲘ ᲧᲐᲪᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲨᲘ — „ᲚᲐᲢᲕᲘᲐᲡ ᲡᲚ ᲠᲣᲡᲣᲠᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“. ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲔᲢᲐ�პᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲨᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲒᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲛᲝᲬᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲒᲖᲐᲖᲔ ᲣᲜᲐᲝᲑᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲡᲐᲪ.

ᲣᲙᲐᲜᲡᲙᲜᲔᲚ ᲮᲐᲜᲔᲑᲨᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲒᲐᲐᲥᲢᲘᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲣᲠᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲠᲐᲝᲠᲘᲡᲛᲝᲓᲜᲔᲜᲘ ᲬᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲜᲘᲪᲓᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲖᲔᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲖᲝᲒᲐᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲚᲗᲐᲛᲝᲛᲪᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲣᲮᲠᲔᲚᲘ ᲕᲔᲡᲘᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ.

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲫᲐᲚᲐ

ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲕᲐᲛᲐᲚᲚᲝᲗ

ᲤᲠ. ᲒᲝᲒᲘᲩᲔᲕᲘ, ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲛᲝᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲝᲑᲠᲘᲜᲘᲐ ᲒᲐᲠᲩᲘᲐ, ᲒᲘᲠᲩᲘᲐ ᲗᲐᲛᲐᲠᲘ ᲑᲣᲚᲐᲢᲝᲕᲘ, ᲗᲘᲗᲝᲕᲘ ᲒᲘᲠᲩᲘᲐ ᲓᲐᲠᲘᲐ ᲛᲘᲠᲩᲘᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲝᲕᲘ, ᲒᲘᲠᲩᲘᲐ ᲛᲐᲠᲗᲐ Მ

საქართველოს სტუმრები

ვარსკვლავები ძმები ბორჯომში



როგორც უკვე ვიუწყებოდით, მეორე კვირაა ბაკურიანში ისვენებს სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავების ჯგუფი.

ეს ხუთეული გაზეთ „ბორჯომის“ ფოტოკორესპონდენტმა ნ. ქარელმა ძვირფას სტუმრებს გადაუღო ბორჯომში მათი ყოფნის დროს. ზემოთ, მარცხნიდან — გ. ლებედევი, ა. ელისეევი, კ. ფეოქტისტოვი, გ. გრეჩკო, ნ. რუკავიშნიკოვი მინერალური წყლების პარკში; მარჯვნივ — ა. ელისეევი ხამახსოვრო ნაძვის ხეს რგავს; ქვემოთ, მარცხნივ — ნ. რუკავიშნიკოვმა და ვ. ლებედევმა სიამოვნებით გადაიღეს სუვენირი სახელგანთქმულ „მფრინავ-მოთხილამურესთან“ კობა წაქაძესთან (შუაში), მარჯვნივ — გ. გრეჩკო და ნ. რუკავიშნიკოვი ინტერესით ადევნებენ თვალს „ბორჯომის“ წყლის ჩამოსხმას საწარმოო გაერთიანება „ბორჯომის“ მეორე ქარხანაში.

საქართველოს ქება-სადუდ

მუსიკიდან ევროპამდე ჩხოროწყუ. (საკ. კორ.). დიდი ხანია სახელი გაითქვა გრძელსხრეთუმა რუბმა ქართულმა ფუტკარმა, რომელიც სოფელ მუხურის სახელმწიფო საჯიშე მეურნეობაში გამოკვავთ. აქ ხშირად მოდის წერილები არა მარტო ჩვენი საშობლოს სხვადასხვა მხრიდან, არამედ საზღვარგარეთის ბევრი ქვეყნიდანაც. 500 ნაცვლად 1.800 დედაფუტკარი გაგზავნეს დიდადგანვითარებული მეფუტკრეობის ქვეყნებში ინგლისში, საფრანგეთში, შვეიცარიასა და პოლონეთში.

დამზადებულია აგრეთვე შვიდ ტონა სასაქონლო თაფლი.

ვერნისაჟი ბათუმი ბათუმი. (საკ. კორ.). მრავალფეროვანი თემატიკით გამოირჩევა აჭარის მხატვართა გამოფენა, რომელიც პარტიის XXV ყრილობას მიეძღვნა. ექსპოზიციაში გამოფენილია სახვითი ხელოვნების ყველა ჟანრის 90 ნამუშევარი. ყურადღებას იპყრობს შ. ხოლუამეღლის, შ. ზამთარაძის, ნ. იაკოვენკოს, მ. ბოლქვაძის, გ. სეჭჩინიანის, ნ. ნიეარაძის და სხვათა ნამუშევრები.

მოიგო „ვოლგა“ თელავი. (საკ. კორ.). თელავში მცხოვრებმა მარიამ ალექსის ასულმა მახათელაშვილმა სსრ კავშირის დოსაფის 1975 წლის მეორე გამოშვების ლატარიის 107612 სერიის № 052 ბილეთით შოიგო ავტომანქანა „ვოლგა“ („გაზ 24“).

ავინდი

გუშინ დასავლეთ საქართველოს ჩრდილო სანაპირო რაიონებში (აფხაზეთში) 13 საათისათვის უნალექო ამინდი იდგა, ხოლო აჭარაში — თოვლჭყაპი. კოლხეთის დაბლობზე და მთის რაიონებში თოვდა. გემპერატურა ბარში 0-3 გრადუსი სითბო, მთაში 2-5 გრადუსი ყინვა იყო.

აღმოსავლეთ საქართველოში ყველგან თოვდა. ტემპერატურა ბარში 2-5 გრადუსი, მთაში 8-10 გრადუსი ყინვა აღინიშნა.

თბილისში ნაშუადღევს თოვდა და 2 გრადუსი ყინვა იყო.

დღეს დასავლეთ საქართველოში ითოვებს, უმეტესად სამხრეთ რაიონებში. გემპერატურა ბარში მოსალოდნელია 0-5 გრადუსი სითბო, მთაში 2-7 გრადუსი ყინვა.

აღმოსავლეთ საქართველოშიც თოვავ მოსალოდნელი, ზოგ რაიონში — ნისლი. გემპერატურა ბარში 0-4 გრადუსი, მთაში 6-11 გრადუსი ყინვა იქნება.

თბილისში მოსალოდნელია მნიშვნელოვანი მოღრუბლულობა, თოვა, გემპერატურა ღამეს 0 გრადუსი იქნება.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

რევოლუციამდელ ეპოქაში ქართველოლოგიურ მეცნიერებათა განვითარებაში რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის თვალსაჩინო როლისა და ქართული საბჭოური მეცნიერებისადმი სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მუდმივი დახმარებისა და ხელმძღვანელობის გაშუქებას ეძღვნება პროფესორ **ს. ჯორბენაძის** წიგნი **„საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის დაწესებულებანი და თბილისის უნივერსიტეტი“**, რომელიც გასულ წელს რუსულ ენაზე გამოსცა თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ.

წიგნში, პირველ ყოვლისა, განხილულია და სათანადო მასალები და დოკუმენტებია წარმოდგენილი იმის საილუსტრაციოდ, თუ რა მეცნიერული ღონისძიებანი განხორციელდა რევოლუციამდელ ეპოქაში რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მიერ ქართველი ხალხის ისტორიის, ენის, ყოფის, კულტურის, წიაღისეულის შესწავლაში, როგორ მონაწილეობდნენ ამ საქმეში რუსი და რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში აღზრდილი ქართველი მეცნიერები. მეცნიერული ქართველოლოგიის განვითარებაში მთელი ეპოქა შექმნა რუსეთის მეცნიერებათა **აკადემიის** აკადემიკოსმა მარი ბროსემ, რომელიც ამავე **აკადემიის** საპატიო წევრ თეიმურაზ ბაგრატიონთან ერთად მოღვაწეობდა საქართველოს მეცნიერული ისტორიის დამუშავებაში. მეცნიერებათა აკადემიის დემიდოვის პრემიის ორგზის ლაურეატობა მოიპოვა დ. ჩუბინაშვილმა, რომელიც აკადემიის დავალებით ეწეოდა მეცნიერულ მოღვაწეობას და ქმნიდა ღირსშესანიშნავ შრომებს ქართველოლოგიაში. მეცნიერებათა აკადემიის პირველი წევრ-კორესპონდენტი დ. ბაქრაძე, პროფ. ალ. ცაგარელი, აკადემიკოსი მ. მარი, აკად. ივანე ჯავახიშვილი, პროფ. გრიგოლ წერეთელი, იოსებ ყიფშიძე და სხვ. პეტერბურგელ ქართველოლოგთა ბრწყინვალე წარმომადგენლები არიან. ისინი რუსეთის მოწინავე მეცნიერებათა ტრადიციებზე აღიზრდნენ და შემდგ. წარუშლელი კვალი დატოვეს ქართული მეცნიერების განვითარებაში. ა. ი. სუმბათოვ-იუჟინი (სუმბათაშვილი) რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად იქნა არჩეული და მუთაფ ალიევ ბეგი ალექსანდრეს ... **ეპოქა** ... **ეპოქა** ... **ეპოქა**